МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 231. ‖ კვირა, 27 ივნისი 1904 წ. ‖ გაზეთის № 2537

## დამნაშავე

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

(შემდეგი*)

იმავე ღამეს დაებადა ფასოს უდღეური ბავშვი, რომელმაც დაბადებისათანავე განუტევა სული. თითონ ფასოს კი მისცა სიცხე, მთელი ღამე და მეორე დღე გონება-დაკარგული შფოთავდა: ხან ტიროდა, ხან იცინოდა, ხან შეშინებული წამოვარდებოდა და გარბოდა სადღაც. ხან ეჩვენებოდა, რომ სადი ბავშვი დაებადა, „ბიჭი“, ეალერსებოდა, ჰკოცნიდა, იკრავდა გულში. ხან ეჩვენებოდა, რომ გაафთრებული ქმარი კლავს ჯერ მის შვილს, „თავკობალას“, და ბოლოს მასაც. ფასო ძრწოდა, კანკალებდა შიშით, ცივ ოფლს ასხამდა და ვიღაცას რაღაცას ემუდარებოდა. შაბათს, განთიადისას, უკლო სიცხემ, გამოერკვა და მიიხედ-მოიხედა. პირველი, ვინც დაინახა, იყო მართა, რომელიც ლოგინთან ახლოს ჩამომჯდარი სთვლემდა.

— მართა!— დაუძახა სუსტად ქალმა.

მართა იმ წამსვე წამოდგა და მივიდა მასთან.

— მართა, რაღა ვქნა ახლა?.. ჩემ თავს არ ვჩივი, მარა ეფიზოს მომიკლავს... მითხრა ერჯელ, წიწილასავით წუუწრიპავ თავსო...— სთქვა მან კანკალით და მიმქრალ თვალებიდან გადმოსცვივდა მსხვილი ცრემლები.

— ნუ გეშინია, შენ ჩუმათაი იყავი, მე მოგიწყობ ისე საქმეს, რომ სულ ხელებზე გვკოცნოს,— მიუგო მართამ ენერგიულად, დარწმუნებულის ხმით.

ფასო უნებურად დაერწმუნა, დაიჯერა მართას სიტყვები, რომელიც ამ წამში მხსნელ ანგელოზად მოევლინა და ოდნავი შეღავათი იგრძნო; ცოტათი დამშვიდდა.

— რაფერ, რაფერ, რა მიეწყობა?.. ნეტაი ერთი მენახა ბაღანაი... ბიჭი იყო თუ ციცაი?

ბებერმა სიყვარულით გადაუსვა შუბლზე ხელი, გაუსწორა საბანი და ნელის ხმით უთხრა:

— ბიჭი იყო, მარა რა ვქნათ; იმას აღაფერი ეშველება; ახლა ცოცხლის საქმე უნდა მუაწყოთ. გუშხამ ასპიროზაი რომ იყო ჩემთან, ჩემი დაი... ქე გითხარი, თუ გახსოვს... იმან მითხრა, რომ კინცხაის ბაღანაი დუუგდიან ქალ აქში ღამე. აი ბაღანაი გამუუგზანიან სოფელში ძიძაის მისაცემათ და მუუცემიან ასპიროზაის ციცაიზა: ხომ იცი,— გვერდელაძეს რომ ხავს. ძუძუის ბაღანაი მუუკტა იმას, წინ დღით დამარხა. რძეი კაი აქ თურმე. მოგდებული ბაღანაი თლა ახალ— დაბადებულია თურმე, ბიჭია. ასპიროზაი ჩივოდა, რომ კი დაგვპირდენ, მარა არც კი ვიცით, ნაძიძაობს მოგვცემენ თუ არაო. მე გუშინვე ვაფრინე იაკინთაი ჩემ დასან და დევიბარე აქანაი ციცაიან-ბაღანიანა. ამ დილას უნდა ჩამევიდენ. აქანაი უნდა დავახვედროთ შენ ქმარს, თვარა არ ივარგებს.

ფასო შეჰყურებდა განცვიფრებული მართას. არაფერი არ ესმოდა. „მე რაი, რომ ვინცხაიზა ბაღანაი მუუცემიან გასაზდელათ“, ფიქრობდა ის. თავი როგორღაც გამოცარიელებული ჰქონდა და რამდენსაც არ სცდილობდა, ჩაჰკვირვებოდა აზრს, აზრი არ ეკარებოდა მის ტვინს.

— ვერ მიხთი?— დაეკითხა მართა.

— ვერა,— მიუგო დაღონებულმა ქალმა.

— ასპიროზას და მის ციცას ვათქმიოთ, რომ იგი ბაღანაი შენია და ნაძიძაობიც შენმა ქმარმა აძლიოს; რაღამც შენ ასთე ავათ ხარ, გაზდა ხომ არ შეგიძლია.

ფასო ცოტა ხანს გაჩუმებული იყო, თითქოს ძალას იკრებდა მისახვედრად.

— ამფერი ცოცხალი ცრუობა რაფერ ვთქვა... ამ სისხო ცოდვა რაფერ დევიდვა კისერზე?... რომ არ დეიჯეროს?.. რომ უთხრას ვინმემ?— სთქვა მან ბოლოს.

— შენ ნუფერს ნუ ჩივი, ავათ ხარ. ყორიფელს მე ვეტყვი: დეიჯერებს. შვიდი თვის ბაღანაი ცოცხლობს, აი ყოლი კაცმა იცის... ცოდვაა?.. ცოდვა ჩემ კისერზე იყოს, შენ ნუ გეშინია. თქმით, რომც იცოდეს, არა კაცი ეტყვის შენ ქმარს, თვარა მაინც დედამანიეის, იაკინთაის და ჩემს მეტმა არა კაცმა არ იცის.

ორშაბათს დილით, როცა თეიმურაზი მოადგა ჭიშკარს, გასაღებად გაეშურა მართა და მხიარულის სიცილით შორიდანვე მიაძახა:

— სამახარობლო, სამახარობლო გაახაზირე, კაი ხუთ მანათზე ნაკლებს არ დაგჯერდები, იცოდე.— მან გააღო ჭიშკარი, თეიმურაზი ჩამოვიდა და გაკვირვებით შესცქეროდა უსიტყვოდ.— მომილოცავს, მომილოცავს... აბა ჰე, ამეიღე სამახარობლო: რაღას უყურეფ?!

— ჯერ მითხარი, ეგება კინტრათ არ ღირს?— უპასუხა თეიმურაზმა.

— არ ღირს, მარგალიტსავით ბიჭი რომ შეგეძინა, არ ღირს?..

თეიმურაზს ფერმა გადაჰკრა.



†ნ. დუბროვინი.

(იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2525).

*) იხ. „დამატება“, № 239, 1904 წ.



გურიის მთავარი ვახტანგ
თავისის ძმის მალაქია კათალიკოზის სიკვდილის
შემდეგ 1639 წელს.



თეიმურაზ პირველი,
ქეთევან დედოფლის შვილი, კახეთის მეფე, და იმისი
მეუღლე დარეჯან.

— დასურ ჩივი, თუ ხუმრობ, მართა; დროი რომ არ იყო ჯერ?

— ჰრ იყო კი არა, ნახე ეგერ, რა ბალანაია; ავ თვალს არ დიენახვება. იმისანაი დეიბადა, რომ დროზე გადაცილებულიცაა მგონია: მარა შვიდი თვისაც რომ იყოს, მაინც სალათ ითვლება ყოველთვის.

— ნამდვილათ შვიდი თვის იყო ამაღლებას.

— ე, თვითან ამაღლებას დეიბადა.

— ოჰ, მადლობა ღმერთს! შენ ჩივი, კაი ბალანაიაო?

— კაკალ მარგალიტსავით: ალმასი რომ გინახავს, იმისანაი... მარა ფასო გახდა ძალიანი ავათ და ბალანაი ძიძას მივეცით...

თეიმურაზი უცებ მოიღრუბლა.

— ვის მიეცით, სად?.. წავალ ახლა სანახავათ.

— ჯერ ბალანაი შინ გვყავს. შენ გიცდის ძიძაი. გვერდელაძის ცოლს მივეცით ახალ სოფელს, კაი ძუძუ აქ...

თეიმურაზს ისევ გაეხსნა წარბები. ორივემ გასწიეს ოდისაკენ, სადაც სიცხეში ჩავარდნილი იწვა ავადმყოფი ფასო. მან ვერც კი იცნო ქმარი.

გავიდა სამი თვე. ფასო, რომლის სიცოცხლე მშობიარობის შემდეგ თვე-ნახევარს ბეწვზე ეკიდა, ეხლა თითქმის სრულიად გამომრთელდა და აგერ ერთ კვირაზე მეტი იყო, რაც ადგა ლოგინიდან. ამ დროს განმავლობაში თეიმურაზს თითქოს გამოეცვალა ხასიათი: აღარ დადიოდა მუდამ წარბებშეკრული, ისე დაჟინებით აღარ სდევნიდა ეფიზოს და ცოლსაც უფრო ყურადღებით ექცეოდა. ერთხელ, როცა ძალიან შეწუხდა, შეუთვალა და სთხოვა კიდევაც სიმამრ-სიდედრს, მოსულიყვნენ და ენახათ შვილი, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ. დიდის ხალისით იხდიდა ბავშვისთვის საძიძაო ფულს. სიამოვნებით აჩუქა მართასაც სამი მანეთი სამახარობლო. გამხდარი, დასუსტებული, თმა-გაკრეჭილი ფასო ლანდივით უხალისოდ დაღოღიალობდა სახლში დაღონებული. ღიმილი თითქოს სამუდამოდ გაუქრა პატარა, უბედურად გამომცქერალ, თითქმის ბავშურ პაწია სახეზე; თითქოს აღარაფერი არ ახარებდა მის გულს. ბავშვი ხშირად მოჰყავდა დღესასწაულებში ძიძას დედ-მამასთან და ყოველთვის მხიარულად და ალტაცებით ეგებებოდა თეიმურაზ.



ფომანისია ბერიძე
გურული კეთილშობილი პოეტი-ქალი, განთქმული,
დიდად ნიჭიერი და სათნოებით სავსე.

დღესაც ცოლ-ქმარი მოელოდა ბავშვს. აგერ შუა დღეს გადაცილებული იყო და ჯერ არსად სჩანდა. თეიმურაზი უსიამოვნოდ და მოუსვენრად დადიოდა ეზოში.

— ასე მგონებოდა, არ მეიყვანდა, მე ჰვითან წევიდოდი, —უთხრა მან ცოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგერ რომ მუა ვინცხა, იგი ხომ არაა?

თეიმურაზი დააცქერდა მომავალს. მგზავრი ჩამოვიდა ეზოში.

—აი ზავარიკაი!—სთქვა თეიმურაზმა.

შუახნის, ჰაღარა, გამხდარი, პატარა ტანის გლეხი ნელა-ნელა მოიბიჯგებდა ჯოხს და მოდიოდა ფეხშიშველი. ტანზე ახლემის ყელის დაკონკილი ფარაჯა ეცვა, ღვედ—გადაკრული.

— შუადღე მხვიდობის,—დაუკრა მან თავი ცოლ-ქმარს, როცა მოაწია ახლოს და აიწია წაკონილი, მაღლა ყურ აშვერილი ყაბალახი. ფასო იდგა შორი-ახლო და უგდებდა ყურს.

— შუადღე მშვიდობისა,—მიუგო თეიმურაზმა და გაჩუმდა.

— ძალიანი ყანები გქონებია,—დეიწყო ზავარიკამ როგორღაც უხერხულად.

-— ვინც მუშაობს, ყველას აქ; ზარმაცს არ აქ თვარა, —მიუგო თეიმურაზმა.

ზავარიკას აენთო თვალები, მაგრამ მაშინვე ისევ ჩაუქრა და დამცირებულად დაიწყო:

— სიზარმაცეც არაა, თეიმურაზ: შენ მამაშენმა გაკეთებული ოჯახი დაგიტია. მე აგერ ხან სიკვტილმა არ გამახარა, ავათყოფობა გამუულევველია ჩემსას და ყორიფელს ველარ უუთავდი. ახლაც იმიზა მიველი, დედაბერი მიკტება. დოხტურის მოყვანა მინდა: ქე ვიცი, აფერს წაადგება, მარა ერთ გულს შევაჯერეფ მაინც. შენ იმას გეხვეწები, რომ დოხტურის ამოსაყვანათ მათხუე ცხენი, ვერსად ვერ ვიშონე, თვარა არ შეგაწუხებდი... ნუ გამაწბილებ და მაგიორი რაცხა მეც მიმსახურე.

— რაითაა დესპინე ავათ, როის გახდა... კი აფერი შემიტყვია, თვარა რავა არ ვნახავდი?—უთხრა გლეხს მზრუნველობით ფასომ,—დოხტურის მოსაყვანათ რავა არ გათხუებს...

— რა შენი საქმეა, ახლა ლაპარაკში რომ ჩიერევი, ა? მიუგო ცოლს თეიმურაზმა და მიუბრუნდა ზავარიკას.—ერთი რომ ცხენი დუუჭედელია და მეორე—ხვალიზა სხვას დავპირი: მანათს მაძლევს ქირას და ჩემდა კაია. ხარჯი ბევრი მაქ, მარტუაი ძიძაის ფარას ვიხთი თვეში ხუთ მანეთს. ცოლი ავათ მყავდა, ქალი ვიქირავე. ყველაი აი ხარჯია და საიდან?...

— თუ გამეიმეტებ ცხენს, ქე დავაჭედიეფ ქალაქში. ქირას კი მოგცემდი, რომ მქონდეს, მარა სამი მანათი ძვილათაი ვიშონე: ორი დოხტურს უნდა მივსცე და ერთი მანათის წამალი დამჭირდეს ეგება.

— რა უყო ახლა, ცხენი კი მეილალება, მარა დააჭედიე და ერთ დღეს ყურძნის საკრეფში მომეხმარე; გათხუეფ, აღარ გაგაწბილეფ.

ზავარიკაი ცოტა ხანს დაფიქრდა.

— ერთი დღეი ამისანა დროზე დიდი კია ჩემდა: მარტო-ხელაი კაცი ვარ, მარა რა უყო ახლა: ეგება ქე წაადგეს რაცხა დედაბერს,—სთქვა თავისთვის, თითქოს სარჩევში იყო.

— შენ იცი, რავაც გინდა. ცხენი დააჭედიე და ერთი დღეი ყურძნის საკრეფში მომეხმარე.

— მოგეხმარები, მოგეხმარები, ცხენსაც დავაჭედიებ, მეტი რა გზაი მაქ. აბა მალე მომეხმარე რაცხა. საღამოს მოგიყვან ისევლე.

— ახლავე დევიჭირავ და მოგიყვან.

თეიმურაზ წავიდა.

— დაბძანდი, ზევარ,—უთხრა გლეხს ფასომ თანაგრძნობით და შევიდა სახლში; რამდენიმე წამის შემდეგ გამოიტანა რაღაც ქაღალდში შეხვეული და მიაწოდა.

— აი პაწაი ალიფუხარია, მუუტანე დესპინეს,—იამება.

— ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს,—მიუგო ზევარმა; გამოართვა და ჩაიდვა უბეში.

ფასო გლეხის წასვლის შემდეგ კიდევ უფრო უგუნებოდ გახდა, მიწვა ლოგინზე და ჩაეძინა. გააღვიძა თეიმურაზმა, რომელსაც შეხვეული პატარა ბავშვი ეჭირა ხელში და მხიარულად დაჰყურებდა.

— შეხედე, იცინის, იცინის, აღუს ჩივა,—უთხრა მან ცოლს.

ფასო წამოიწია, დახედა ბავშვს, მაგრამ ისევ დაეშვა ბალიშზე: არ ესიამოვნა ბავშვის დანახვა,—იმისი მსუქანი, განიერი სახე, უკბილო ღრძილები.

— არა, რა ბიჭია!—ნეტაი ვის გავს, თუ იცი? რას გავზდი, რას გავზდი მტერის ჯინზე! ღენერალს გამევიყვან, მირსკის... იმისთანა სასახლეს გამოვჭიმავთ აქანაი,..ა, ხომ, ბაბავ? ღენერალი შვილი მეყოლება; იტყვიან, თეიმურაზ გოდორაძემ ნანატრი შვილი გამოზარდაო...

ფასო უხალისოდ უგდებდა ყურს ქმრის ოცნებას და საღამოს, როცა ბავშვი გაისტუმრა, თავისუფლება იგრძნო.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე. ფასო სრულიად მოჯობინდა, ლოგინზე მოვიდა და უფრო გულ-მოდგინეთ შეუდგა ოჯახობას, თითქოს მუშაობით უნდოდა შეევსო ის სულის სიცარიელე, რომელსაც გრძნობდა მუდამ. თუმცა ქმარი ისე



განხორციელდება იმედი? —სურათი ვინკოსი.

აღარ სდევნიდა და არ სტანჯავდა, მაგრამ არც დიდის პატივისცემით ეპყრობოდა. ამას გრძნობდა ფასო და არც ეძებდა მაინცა და მაინც პატივისცემის დამსახურებას. პირ-იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობდა, არ დარჩენილიყო მასთან მარტო და არასოდეს თვალებში არ უყურებდა. დედ-მამის ნახვაც აღარ უნდოდა ფასოს, თუმცა ეხლა დარწმუნებული იყო, რომ არც თეიმურაზი იქნება წინააღმდეგი. ცხოვრებამ თითქოს დაკარგა მისთვის მიმზიდველობა; მხოლოდ პატარა მახინჯი ეფიზო და მართა იყვნენ მისთვის საყვარელი არსებანი. მხოლოდ იმათთან ჰგრძნობდა თავს თავისუფლად და ჰპოვებდა ნუგეშს.

ოქტომბრის ერთ კვირა დღეს ძიძამ მოიყვანა ბავშვი და სთქვა: ახალ სოფელში წითელა გაჩნდა და ბავშს რომ მოვნათლავდეთ, უკეთესი იქნებაო. თეიმურაზმა იმავე დღეს მოაყვანინა მღვდელი, მონათლა ბავშვი. მოანათვლინა მართას შვილს იაკინთეს.

— კაჟსავით არის ჩემი ერმილე, კაჟსავით. რა ბიჭია, რა ბიჭი! თლა ამ სოფლის ბატონია. მაგას წითელაი ვეფერს დააკლებს!—უთხრა ცოლს თეიმურაზმა, როცა გაისტუმრა ბავშვი.

— მადლობა ღმერთს,—მიუგო ფასომ,—მარა ჩვენი ეფიზო გახდა ავათ: გაცხელებულია და აფერს არ ჭამს.

— წითელაი იქნება; მე ერთს, ეგერ საქმე მაქ და მუალ ვახშმობამდი,—მიუგო თეიმურაზმა და წავიდა.

„არც კი ნახა ბაღანაი“,—ჩაილაპარაკა ფასომ და შევიდა ოთახში.

ეფიზო თანდათან უარესად გახდა: დღითი-დღე დნებოდა და ილეოდა მისი ისედაც გამხდარი, პაწია ტანი. დედა ხედავდა როგორის ულმობელის სისწრაფით უქრებოდა შვილს თვალებში სიცოცხლე და გულის ტკივილით შესცქეროდა; ყველაფერს თავი მიანება და განუშორებლად მუდამ მასთან იყო.

— ნენავ,—უთხრა ერთხელ ბავშვმა დედას:—დასურ ვუყვარვარ ბაბას?.. აბა დუუძახე, ახლა აღარ მეშინია მისი.

— დუუძახებ, ნენავ, ახლა. რაის უნდა გეშინოდეს, შენი ჭირიმე: ბაბას იმფერი ხასიათი აქ, თვარა უყვარხარ, შვილო; აბა, მე შენ მოგატყუებ?—მიუგო დედამ, აკოცა ბავშვს და გავიდა გარედ.

ცოტა ხანს შემდეგ ორივე ცოლ-ქმარი შემოვიდნენ სახლში. ბუხარში ცეცხლი ენთო და პატარა ქოთნით მიდგმული რაღაც დუღდა. ფასო მივიდა, დაიხარა, გამოსწია ქოთანი და დაუწყო მამა-შვილს ცქერა. თეიმურაზმა ნელის ნაბიჯით გასწია ლოგინისაკენ.

— ბაბავ, ჩემო ბაბავ...—სთქვა ბავშვმა სუსტის ხმით და გაუწია ორივე ხელები მამას,—ბაბავ, მე გლახა ციცაი ვარ... მე მეგონა არ გიყვარვარ, მეშინოდა შენი და... და მძულდი, დაუმატა მან ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ღიმილით.—დაჯედი აგერ,—აჩვენა იმან ადგილი ახლოს ლოგინზე. თეიმურაზი, ოდნავ შემკრთალი, ჩამოჯდა და გაუწია ხელი, რომელიც მაშინვე აილო ბავშმა.—ახლა კი ვიცი, რომ გიყვარვარ... კაცი რომ მოკტება, კუზი აღარ ექნებაო, ნენაი ჩივა და ნენაი არ მომატყუებს, ხომ იცი?—განაგრძო ბავშმა ცოტათი მღელვარებით:—ისე მიხარია, ბაბავ... ქუჩეჩაი თმაი მექნება... ახლაც, ჯერეთვე ფრთები მესხმება მგონია, ჩიტივით გასაფრენათ... მაშვინ შენ აღარ გეწყინება ჩემი დანახვა... აღარ გამიწყლები...—ამბობდა ბავშვი გახარებულის სახით, უფრო თითქმის თავისთვის ოცნებობდა.

ცოტათი დაიღალა, დახუჭა თვალები და გადასწია თავი ბალიშზე. დედა მიუახლოვდა, გადაუსვა შუბლზე ხელი და ნელა აკოცა. ბავშვმა ისევ გაახილა მომღიმარე თვალები.

— შენც მაკოცე, ბაბავ, შენც, ჩემო ბაბავ,—სთქვა მან ნელის ხმით.

თეიმურაზი ადგა აღელვებული, დაიხარა და აკოცა. ბავშმა მოხვია ორივე ხელი კისერზე.

— კიდო, კიდო მაკოცე... ტირი, ბაბავ?...—დაეკითხა ის უცებ და ისევ დასწია მამის თავი!—რეიზა ტირი? ვითამ პაწაი ხარ... მე ფრთები მესხმემა და შენ... რა კაი ხარ... რა მიხარია, რომ მიყვარხარ... ახლა აღარ მეშინია... ნენაი, ჩემი კაი, მშვენიერი ნენაი...—სთქვა ბავშვმა და ისევ გადააგდო თავი ბალიშზე. ერთბაშად დაიღალა, სრულიად მოდუნდა, გაუშვა მამას ხელი და დახუჭა თვალები.—გადამაბრუნე,—სთქვა მან სუსტად, ძლივს გასაგონად. თეიმურაზ ადგა და ფრთხილად გადააბრუნა კედლისაკენ ბუმბულივით მსუბუქი ბავშვი; მერმე მობრუნდა, მიიწია ბუხრისკენ და დიდხანს იდგა თავ-ჩაღუნული, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

ცოტა ხანს შემდეგ ბავშვმა გაიღვიძა და გადმოიხედა, მაგრამ დედ-მამა განაცვიფრა ამ ცოტა ხანში მომხდარმა ცვლილებამ: ბავშვის თვალებში და სახეზე აღარაფერი სურვილი აღარ იხატებოდ, ის თითქოს ვერავის ხედავდა და აღარაფერი აინტერესებდა, თითქოს სადღაც შორს იყო ამ ქვეყნიდან. ცოლ-ქმარმა შეხედეს ერთმანეთს და თვალ-ცრემლიანი, შემკრთალი სახე ისევ მოარიდეს ერთმანეთს. ორივე მიხვდა, რომ ბოლო მოახლოვებული იყო.

**ნინო ნაკაშიძე.**

(შემდეგი იქნება)

**სურათების განმარტება.** ამას წინად იტალიაში მღ. მიქ. თამარაშვილს უპოვნია მე-XVII საუკუნეში საქართველოში ნამყოფ მისიონერის კასტელის თხზულება—საქართველოს მოკლე ისტორია. წიგნში ჩართული ყოფილა სხვა-და-სხვა სურათიც იმ დროის მთავრებისა, მოღვაწეებისა, ეკკლესიების და სხვა. მამა თამარაშვილს გადაუღია რამდენიმე სურათი და სამს მათგანს მკითხველი იპოვის ჩვენის სურათ. დამატების მე-2 ფურცელზე.







ტფილისში მომხდარი ინციდენტი და შედეგი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.